სახალხო გაზეთი

№ 372 სამშაბათი, 9 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 372

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

კისლოვოდსკში, 7 აგვისტოს, ხან-მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ალექსი ნიკოლოზის ძე ფარსადანოვი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დიდად მწუხარენი მეუღლე მისა ლუსინე დავითის ასული და დაობლებული ქალიშვილი ნინო. ცხედრის გამოსვენებისა და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—757—1)

საჭიროა ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების თეატრისათვის **რეჟისორი, ორი მსახიობი ქალი, ერთი კაცი და სუფლიორი,** შემდეგის პირობით: წლის ვადა; ჯამაგირი თვიურად: რეჟისორს თვეში 80 მან. და ბენეფისი; პირველ მსახიობ-ქალს—60 მ. და ბენეფისი; მეორეს—40 მ.; მსახიობ კაცს—50 მ. და სუფლიორს—35 მან.

მსურველთ შეუძლიანთ გამოგზავნონ შესაფერი თხოვნები წერილობით, ან ტელეგრაფით, ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების სახელობაზე, **მხოლოდ 12 მარიამობისთვემდე;** ამ დღეს იქნება გარჩეული ყველა. (3—1431—3)

„სორაპანის" ამხ. გამოცემა მეექვსე წიგნი

„დრამები და კომედიები"

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის-მოწერლებს პირველ ენკენისთვეს. (3—1430—3)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—110)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამე. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ებუთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მალხაზიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **ღარიბები უფასოდ.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **ღარიბები უფასოდ.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **ღარიბები უფასოდ.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება სხვა შედარებით საფასურით (წ.—1089—531)

ექიმი მ. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 6—110

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი.

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

სამშაბათს, 9 აგვისტოს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართულად:

1) **რეგვენი ჭკუას წააგებს, ფათერაკს დააგრალებსო,** ვოდევ. 1 მოქ., გად. ივ. ჯაჯანაშვილისაგან.

2) **სამუსიკო განყოფილება.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი პრესინსკისა, ბუტი და ცხომელიძე.

წარმოდგენის შემდეგ ლოტო. დასაწყ. საღ. 9 ს.

სტუმრ გადაიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ 25 კ. ადგ. ფასი თეატრში 10—50 კ. ანონსი: ოთხშაბათს და პარასკევს 10 და 12 აგვისტოს, იაფი ლოტო, 11 აგვის. საბავშვო საღამო სინემატოგრაფიით და რუსული სპექტაკლი. (1—1432—1)

ხუთშაბათს, 11 მარიამობისთვეს,

ღ. ჭიათურაში სახალხო უნივერსიტეტი ჰმართავს ლექციას.

ლექციას წაიკითხავს გიორგი ბურჭულაძე ამ თემაზე:

„გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში; მათი ცხოვრება—ზნე-ჩვეულებანი".

გეგმა ლექციისა: I. ისტორია გერმანელთა კოლონიების დაფუძნებისა ამიერ-კავკასიაში (ტფილისის და განჯის გუბერნიაში).

II. 1. აღწერა კოლონიებისა; ა) გარეგანი სანახაობა; ბ) ქუჩები, სახლები და მათი მოწყობილება; გ) სისუფთავე.

2. წარმოება ახალშენებში: ა) მევენახეობა; ვენახების სანახაობა და მათი დამუშავება; ბ) მეღვინეობა; ღვინის დაყენების წესი. გ) საელექტრონო სადგური და ელექტრონის მოხმარება სხვა და სხვა ქარხნებში (სადურგლოში, სამჭედლოში, საბოჭკოში, საფურცუნოში), დ) მადნეულობის სადნობი ქარხნები.

3. დასვენება გერმანელებისა: კვირა დღე კოლონიებში.

4) სხვა და სხვა სარწმუნოებრივი წესები: მონათვლა, ზიარება, ჯვარის-წერა. დამარხვა.

4. კოლონიების თვითმმართველობა; თანამდებობის პირნი და მათი მოვალეობანი.

6. სხვა და სხვა საამხანაგო დაწესებულებანი (კოოპერაციები), მომხმარებელი და გამსაღებელი ამხანაგობანი; საზოგადო მარანი.

7. სწავლა-აღზრდის საქმე: აღზრდა ბავშვისა ოჯახში და სკოლაში.

8. კლუბები კოლონიებში: ა) საზოგადო; ბ) ახალგაზრდა ვაჟთა; გ) საქალებო.

III. დასკვნა: რა არის მიზეზი ჩვენი ასე ჩამორჩენისა. (1—1437—2.

გამოვიდა და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

4 მოქმედ. დრამა

„მეგობრობა".

ფასი ექვსი შაური.

(ავტორის სურათით). (10—8)

გამოვიდა და იყიდება

ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ.

„ჩვენი საზოგადოებრიობა"

ფასი ოთხი აბაზი (ავტორის სურათით და წინასიტყვაობით).

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის თხზ. 1-ლი წ.

„ეროვნულ პრობლემის გარშემო"

ფასი 75 კაპ. (10—8)

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე

აცხადებს, რომ **განმეორებითი გამოცდა** გიმნაზიის მოწაფეებისა დაიწყება:

მე-5, 6 და 7 კლასებში 20 აგვისტოდან,

მე-3 და 4 „ 23 „

1 და 2 „ 24 „

მოსამზადებელ მე-2 და 3 განყოფილებებში 25 „

და 1 განყოფილებაში 26 „

პირველ განყოფილებაში შესვლის მსურველთ გამოცდა ექნებათ 26 და და 27 აგვისტოს, დანარჩენ განყოფილებებში და კლასებში, სადაც ვაკანსია აღმოჩნდება, გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

გიმნაზიის კანცელარია 2 ივლისიდან 15 აგვისტომდე **ღია იქნება** მხოლოდ **ხუთშაბათობით** დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (6—1374—6)

ტფილისის კომერციული საგირაო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან მოქმედების დასტური მისცა „ტფილისის კომერციულ საგირაო არტელს". საგირაო არტელი პასუხისმგებელ მოსამსახურეებით მოქმედების დაწყებისას სავაჭრო ფირმებს, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებათ, კერძო პირთა თუ რკინის გზათა, სააღსნო ამხანაგობათა, ქარხანა-სამრეწველოთ და სხვა კეთილსინდისიერსა, გამოცდილს და საქმის ადგილობრივ შემსრულებელთ თავაზობს, რომელთაც ფულის აღებ-მიცემობასთან აქვთ კავშირი, როგორც მაგალითად: ფულის ამკრეფად, საწინადრეს, მაღაზიისა, კანტორებისა, საწყობებისა, ქარხნებისა, სამრეწველოებისა, მაღაროებისა, მამულებისა, სახლების გამგეთა, პასუხისმგებელ წარმომადგენლებს, ფიშერებისა (კომივოიაჟერებისა), დასლიდარ ქალ-ვაჟებისა, რწმუნებულთა, აგენტებისა, ბუჰგალტრებისა, მდივანთა და სხვა.

ამის გარდა არტელი კისრულობს საქონლისა და ბარგის გადაზიდვას, რკინის გზის დუბლიკატებით თავისის ფულით გამოიყიდის საქონელს და საზოგადოდ ასრულებს სხვადასხვაგვარ სავაჭრო მინდობილებას ყოველგვარ მოძრავ და უძრავის ქონებისა, საქონლისა, ნაყოფისა და სხვის სყიდვას. მინდობილ ქონების მთლიანობასა და გაფრთხილებას მის მიერ დაყენებულ პირთა მიერ, არტელია თავდები აგრეთვე დავალებულ საქმეთა პირნათლად შესრულებისა, რაზედაც არტელი სახელმწიფო ბანკში შენახულ საგირაო კომიტეტის ხელში არსებულ თანხით აგებს პასუხს, და აგრეთვე თავისის ქონებითა და თანხით თავის წევრთა ურთ-ერთის პასუხისმგებლობით.

არტელის გამგეობა იმყოფება ტფილისში, ერევნის მოედანზე, გურგენოვის სახლში. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 2 ს.-მდე და საღამოს 6—8 ს.-დე, კვირა-უქმე დღეებით კი—დილის 10—1 ს.-მდე.

გამგეობა:

არტელის საქმეთა გამგე) ა. ნ. ვერევკინი,

ამხანაგი) მ. ფ. შიშლო,

საქმის მწარმოებელი წევრი (მ. ნ. გენკინი. (2—756—1)

ტფ. სათავად-აზნაურო ქალთა სკოლა

ამით აცხადებს, რომ მოწაფე ქალთა მისაღებად ვაკანსიებია სკოლის **პირველ, მეორე** და **მესამე** განყოფილებასა და **პირველ** კლასში, გამოცდა დაიწყება ამა წლის

აგვისტოს 23 დღიდან

არზები ყოველი საჭირო საბუთებით მიიღება სათავად-აზნაურო გიმნაზიის კანცელარიაში. კანცელარია ღია იქნება **ხუთშაბათობით,** დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (4—1373—4)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განჯის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—80)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დასხამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით.

(შო.—1090—129)

ქუთაისში

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

შინაგან, სიბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, სღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგიოსელიანის სახლი. (თ.—1321—42)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა

დოქტორი მედიცინისა

ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნის ქ., სახ. № 13.

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილის 9—11 ს, საღამოს 5—8 ს.

ტელეფონი № 1090. (20—1420—5)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—45)

ექიმი

გ. მ. ღოღობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი.

იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—5)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—20)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 26. (წ.—1249—79)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს, გ. ლომსაძის აგარაკი.

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—44)

ტფილისი, 9 აგვისტო

„გოლოს კავკაზა"-ს მოწოდება.

საქალაქო არჩევნების მოახლოვებამ ათასნაირ ჰანგზე აალაპარაკა ადგილობრივი პრესა. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმისთვის, რომ გაიგო, ვის რა ალაპარაკებს, ან რა იდუმალი გულის ზრახვა ამოძრავებს. დროთა მიმდინარეობით უფრო ცხადი გახდება ჩვენთვის სულიერი განწყობილება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებისა, მაგრამ არც ამ ჟამად არის დაფარული მისწრაფებანი ზოგიერთებისა, მაგალითად, „გოლოს კავკაზა"-სთან დაკავშირებულ რუს ელემენტებისა.

„გოლოს კავკაზა"-ს შაბათის ნომერში დაბეჭდილია მოწოდება ქართველებისადმი. ავტორი ამ მოწოდებისა ურჩევს ქართველებს, შეუერთდით რუსებს და ამით ნამდვილად განახორციელეთ თქვენი უფლებებიო. „გოლოს კავკაზა" ქებითა და დიდებით იხსენიებს ქართველებსა და „მრავალტანჯულ" საქართველოს, რომელსაც, მიუხედავად მრავალი უბედურებისა, მაინც შერჩენია ტერიტორია, ენა და სარწმუნოება. ტფილისი საქართველოს დედა-ქალაქი იყო, ეხლა იგი რუსეთის სახელმწიფოს ნაწილის, კავკასიის, ცენტრია, და ამიტომ უპირატესობაც ტფილისის თვით-მმართველობაში ქართველებს და რუსებს უნდა ჰქონდეთო. ამის მისაღწევად კი გაზეთი თხოულობს რუსებისა და ქართველების შეკავშირებას სხვათა წინააღმდეგ. ქადაგება ყოველნაირი შეიძლება, არც შეკავშირებაა ურიგო რამ, მაგრამ შესაკავშირებლად რაიმე საფუძველია საჭირო. იქ, სადაც საერთო ნიადაგი არ არის, იქ სადაც ერთმანეთს მტრებად სახავენ, არავითარ შეკავშირებასა და შეთანხმებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამას ძალიან კარგად ჰგრძნობს „გოლოს კავკაზა", აგონდება თავისი სამსახური ქართველებისადმი, აგონდება მთელი თავისი მოღვაწეობა და ცოტა არ იყოს ბოდიშის კილოთი სწერს: საქმე იმაშია, რომ ბოლო წლებში დაიბადა რაღაც გაუგებარი შუღლი; ეს შუღლი გამოიწვია იმან, რომ ბოლო წლების

ამბავმა ყველას ნერვები მოუშალა. ის დროებაც წავიდა, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, ბევრი უკვე გონს მოვიდა, შუღლი კი კვლავ სწარმოებს და ავნებს როგორც ქართველებს, ისე რუსებსაც.

ერთის სიტყვით, ის ორგანო, რომელსაც არა ერთხელ ამოუსვრია ტალახში ქართველის სახელი, რომელიც ერთხანად იმდენად გაკადნიერდა, რომ დაგვიწერა, საცვლების გამოცვლა ჩვენ გასწავლეთო, დღეს ქართველების დიდს ისტორიულს წარსულზე გვითითებს და შეთანხმებისკენ გვიწვევს.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, შეთანხმება კარგი რამ არის, მაგრამ „გოლოს კავკაზა“-ს ერთი რამ ავიწყდება, სახელდობრ ის, რომ ამ შეთანხმებისთვის არავითარი ნიადაგი არ არსებობს. მეგობრული განწყობილება ერთა შორის არჩევნების წინ არ იბადება და ვერც ქადაგებით გააღვიძებთ თანხმობის გრძნობას იქ, სადაც მთელი წლობით სიძულვილი ითესებოდა. „გოლოს კავკაზა“-მა და მისმა თანამოაზრეებმა ყოველი ღონის-ძიება იხმარეს, რომ რაც შეიძლება ღრმად გაეთხარათ უფსკრული ქართველებსა და რუსებს შორის და ჩამოეგდოთ ერთმანეთის გაუგებრობა. დღეს თუ ამ პოლიტიკის შედეგს იწვნევენ, თავის თავს დააბრალონ.

ესეც რომ არ იყოს, რას მოუტანს ქართველ მცხოვრებლებს რუს ამომრჩევლებთან შეთანხმება, თუ საკითხს პრაქტიკულის თვალსაზრისით შევხედავთ? უკეთეს შემთხვევაში ამ შეთანხმების წყალობით, ქართველები და რუსები ცოტა იმაზე მეტს ხმოსანს აირჩევენ საბჭოში, ვიდრე დღესა ჰყავს თვითოეულს ამათგანს.

ეს ყველა ძალიან კარგი, მაგრამ სად არის გარანტია, რომ ზურგ მომაგრებული რუსი ელემენტი არჩევნების მეორე დღესვე ზურგს არ უზრუნებს ქართველებს, არ დაივიწყებს თავის დღევანდელ ხოტბა-დიდებას და არ განაახლებს ძველებურს პოლიტიკას სიძულვილის თესვისას? „გოლოს კავკაზა“ ამის გარანტიას ვერ მოგვცემს, რადგანაც მთელი მისი წარსული ცხოვრება მჭერმეტყველურად ასაბუთებს, რომ იგი იმდენად სოლიდარობის იდეით არ არის გატაცებული, რამდენად სურვილით, —ქართველებთან დროებითი შეთანხმებით თავისი საკუთარი ელემენტი გააძლიეროს ქალაქის თვითმმართველობაში. რანაირი გარანტიაა „გოლოს კავკაზა“, როდესაც იმავ ნომერში, რომელშიაც ქართველებისადმი მოწოდებაა დაბეჭდილი, ჩვენა ვხედავთ ერობისა და უნივერსიტეტის საკითხის გასაოცარს პროვოკაციას? არა, „გოლოს კავკაზა“ გარანტია არ არის, და ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ მის რჩევას არ გავყვებით და ამით საშუალებას არ მივცემთ, რომ სხვისი ხელით ნარი გლიჯოს...

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება სპარსეთის საქმეში

6 აგვისტო.

პეტერბურგი. ოფიციალური. დღეს, რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგემ ნერატოვმა და გერმანიის ელჩმა პურტალესმა ქვემომოყვანილ პირობას ხელი მოაწერეს: რუსეთისა და გერმანიის მთავრობათ, აღიარეს პრინციპი სპარსეთში ყოველ ერის თავისუფალ ვაჭრობისა და მიიღეს მხედველობაში, რომ რუსეთს სპარსეთში საკუთარი ინტერესი აქვს, ხოლო გერმანია კი იქ მხოლოდ ვაჭრობას ეწევა. შემდეგ მუხლებში შეთანხმდნენ:

პირველი მუხლი. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ არც თითონ, საკუთრად თავისთვის და არც თავის ქვეშევრდომთათვის, მას არა ჰსურს არც რკინის გზის, არც ნაოსნობის და არც ტელეგრაფის კონცესიის შეძენა ჩრდილოეთით შემდეგ საზღვრებთან: მოყოლებული კასრიდან შირინამდე, იფაგანსა, იეზდსა და ხაკსა—ვიდრე ავღანისტნის საზღვრამდე.

მეორე მუხლი. თავის მხრივ, რუსეთი მოვალეა გაიყვანოს რკინის გზა, თუ კი სპარსეთის მთავრობამ კონცესია მისცა. ამ რკინის გზამ თეირანიდან ხანეკინამდის უნდა გაიაროს და ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრებზე სადიჯეხანიკინის გზას შეუერთდეს, რა წამსაც კი ეს ნაწილი ბაღდადის გზისა დასრულდება. როცა საამისო კონცესია მიღებული იქნება, მუშაობა სადიჯე-ხანიკინის გზის გათავების შემდეგ, ორი წლის მერე უნდა დაიწყოს და ოთხ წლიწადში დასრულდეს. რუსეთის მთავრობა თავის დროზე გამოარკვევს გზის ნამდვილ მიმართულებას; ამ საქმეში იგი გერმანიის მდგომარეობას ანგარიშს გაუწევს. ორივე მთავრობა ხელს შეუწყობს ამ გზაზე თავისუფალ მოძრაობას, ამიტომ არ დააწესებენ არც ტრანზიტულ ხარკს და არც დიფერენციალურ ბაჟს. თუ სადიჯე-ხანიკინის ტოტის დასრულების შემდეგ, ორი წლის მერე, რუსეთი ხანიკინ-თეირანის გზის გაყვანას არ შეუდგება, იგი მოვალე იქნება გერმანიას აცნობოს, რომ ამ კონცესიაზე ხელს იღებს. მაშინ გერმანიას უფლება ექნება თითონ შეეცადოს ამ კონცესიის აღებას.

მესამე მუხლი. მიიღეთ-რა მხედველობაში, რომ ბაღდადის რკინისგზას საერთაშორისო ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რუსეთი მოვალეა მის გაყვანას ხელი არაფრით არ შეუშალოს, თუ კი რასაკვირველია, ეს გზა მას ან ფულით არ დააზარალებს, ან ეკონომიურ ცხოვრებაში ხელს არ შეუშლის.

მეოთხე მუხლი. რუსეთის მთავრობას უფლება აქვს რკინის გზის გაყვანის საქმე თითონ კი არ დაიწყოს, არამედ უცხოეთის კაპიტალს მიანდოს. ამას თითონ რუსეთი აირჩევს.

მეხუთე მუხლი. მიუხედავად იმისა, როგორ იქნება ეს გზა გაყვანილი, რუსეთის მთავრობას უფლება აქვს, მუშაობაში ყოველნაირი მონაწილეობის მიღებისა და ბოლოს, თუ მოისურვებს, ეს გზა გამოისყიდოს, იმ ფასად, რა ფასადაც იგი ამშენებლოთ დაუჯდებათ.

ამის გარდა, ორივე მხარე ვალდებულია დაუთმოს ერთმანეთს მონაწილეობა ყოველ პრივილეგიაში, რომლის მიღებასაც რომელიმე მხარე შესძლებს ამ გზაზე. დანარჩენი დებულებანი ამ ხელ-შეკრულებისა ძალაში რჩებიან.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მიწად-მომწყობ** და მიწად-მომქმედ მთავარ გამგის. რწმუნებულის კანცელარიის ცნობით სოფლებს: ჯვერეთსა და სხვითახში (შორაპნის მაზ.) აუარებელი მინდვრის თაგვი გაჩნდა, რომელიც ერთიან ანადგურებს ჭირნახულს.

◆ **გადმომსახლებელთა სამმართველოს,** ჯავათის მაზრის საგანგებო საქმეთა მოხელემ მიწად-მომწყობ და მიწად-მომქმედ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებულს მოხსენება წარუდგინა, რომ ჩრდილო-მუღანის მინდვრებში 8 ათასი დესეტინა მიწის მოსარწყავად არხები გავიყვანეთო.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც საუნივერსიტეტო კომიტეტის თავმჯდომარის თავ. გ. მ. თუმანიშვილის მიერ მიღებულ წერილიდან სჩანს, 6 სექტემბერს ტფილისში ჩამოვა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ა. ი. შინგარევი, რათა დაწვრილებით შეისწავლოს საკითხი ტფილისში უნივერსიტეტის გახსნისა.

◆ 7 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა ქ. სოხუმის ქალაქის მოურავის მოადგილე **ექიმი ვ. დ. მაჭავარიანი,** რომელიც ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ა) ქ. სოხუმის ქალაქის მიწები სამხედრო-საინჟინერო მიწებში გაცვლევინონ, ბ) ხაზინის ვალი ქალაქს ნაწილ-ნაწილ ახდევინონ; ამასთანავე ბ-ნი მაჭავარიანს დავალებული აქვს ნიადაგი მოამზადოს ქალაქ სოხუმის მიერ განზრახულ 3,200,000 მ. სესხის ასაღებად. შემდეგ ეს ვალი ქალაქს სჭირდება: ა) სიბინძურის არხებისა, წყალსადენისა (ცხრა ვერსის მანძილზე აპირებენ წყაროს გამოყვანას), ზღვის პირის ქუჩის გაფართოვებისა, ელექტრონის ტრამვაისა, კურზალისა, ჰიდროპატიურ სადგურისა და სამას კაცისათვის სასტუმროს (სანატორიუმის მსგავსი) ასაგებად. ამავე ფულით უნდა მოკირწყლონ სოხუმის ყველა ქუჩა. ყველა ზემოხსენებული ზომა საჭიროა იმისათვის, რომ ქ. სოხუმი იმდენად კეთილმოწყობილი იყოს, საზღვარ-გარეთის კურორტებისკენ არ ესწრაფებოდეს ხალხი.

ამ საქმის თაობაზე ბ-ნი მაჭავარიანი ინახულებს სენატორ ვატაცისა და საოლქო საინჟინერო სამმართველოს უფროსს გენერალ-მაიორს ბ-ნ პაროშინს.

◆ 4 ამა აგვისტოს, ქალაქის 10—11 და 12 ნაწილის ბაზრის ზედამხედველმა ესტატე გიორგის ძე ლომიძემ, **ოქმი შეუდგინა მეპურე იროდიონ კობერიძეს,** რომელმაც დამტკიცებულ ქალ. საბჭოს მიერ პურის ნიხრის ფასზე მეტად გაჰყიდა პური. ვგონებთ, დროა ქალაქის თვით-მმართველობამ სიმხნევე გამოიჩინოს და ყველა დარგის ვაჭრები წესისამებრ ალაგმოს, რომელთა თვითნებობა—შეუპოვრობას სამზღვარი არ უძევს.

◆ რადგანაც ტფ. **მეპურეებმა** ქალაქის გამგეობაში პურის ნიხრის მომატება ითხოვეს, გამგეობამ საბირჟო კომიტეტს სთხოვა: გვაცნობეთ პურის საბირჟო ფასებიო. საბირჟო კომიტეტისაგან გუშინ პასუხი მიუციათ, როგორც კავკასიისა, ისე რუსეთის ფქვილის ფასმა 25 პროც. იმატაო.

◆ სასანიტარო კომისიამ, სასანიტარო ექიმის ვ. ა. მირაქოვისა, ქალაქ. 10—11 და 12 ნაწილის ბაზრის ზედამხედველ ე. გ. ლომიძისა და სხვათა მონაწილეობით, 5 აგვისტოს მეთორმეტე საპოლიციო უბანში მოახდინა **სანიტარული დათვალიერება** სავაჭრო-სამრეწველო სავაჭროებისა. ყველგან სანიტარულ მხრივ, შესაფერისი განკარგულება გასცა, სადაც კი ცოტა რამ ნაკლი შეამჩნია. მუშტაიდის ქუჩის შესახვევში საზამთრო-ნესვის საწყობებში, მრავალი ნესვი და საზამთრო ადგილობრივვე მოსპეს უვარგისობისა გამო და სხვა.

◆ **თავად იური მიხეილის ძე ჭავჭავაძის ოჯახში** (კახეთში) დაცული ყოფილა ერთი მეტად ძვირფასი საუნჯე ხელთნაწერი ლოცვანი, სახელად **„დაუჯდომელი“**. წიგნი პატარა ფორმატისაა, მშვენიერ ხოცურის ხელით ნაწერი, და მის ტექსტს გარშემო ავლია მინაქრის არშია. წიგნის ერთ ადგილას მხედრულად აწერია: **„დაუჯდომელი ესე თვით წმინდის მოწამის ქეთევან დედოფლის ნაქონი არისო.“** როგორც შევიტყვეთ, თავად იურის განზრახვა აქვს ეს საუნჯე დასაცავად საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცეს.

◆ **ესკურსია ჯვარისა და არმაზის მონასტერში.** შაბათს, დილის მატარებლით ბ. ლ. ბოცვაძის მეთაურობით, ექსკურსანტები მცხეთას გაემგზავრნენ. აქ დაათვალიერეს მცხეთის მონასტერი. შემდეგ ფეხით გავიდნენ არაგვში და პირდაპირ ვიწრო ბილიკით ავიდნენ „ჯვარში“. ექსკურსანტები ძლიერ დააღონა იმ გარემოებამ, რომ ამ ძვირფას საუნჯეს პატრონი არავინა ჰყავს. გუმბათი დაუხურავია და ქვიტკირი ცვივა ძირს ეკლესიაში. დაათვალიერეს ყველა საყურადღებო ადგილები და ნივთები, შემდეგ მცხეთით გადავიდნენ არმაზში და წავიდნენ ქართლოსის საფლავისაკენ, მაგრამ მწვერვალამდე ველარ მოასწრეს და ასვლასაღამოს 9 საათის მატარებლით ისევ ტფილისს დაბრუნდნენ. განზრახულია შემდეგ ექსკურსია კვირას, 14 აგვისტოს წავლენ „ქვათახევის“ მონასტერში.

◆ 25 აგვისტოს **მიემგზავრება ექსკურსია** კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებისა: ქუთაისიდან ბალაჯარს, როსტოვსა და პოლტავაზე. ჩაწერა შეიძლება ტფილისში, სტუდენტ ილიკო რცხილაძესთან. ადრესი: კონის 1 შუკა, № 9, ვერაზე. ნახვა შეიძლება 8—10 საათამდე დილით და 2—8 საათამდე საღამოს. ფასი 6 მან. უკანასკნელი ვადა ფულის შეტანისა 20 აგვისტოა.

◆ ვარშავის უნივერსიტეტის **სტუდენტთა ექსკურსია** სტუდენტის ტერენტი ვეფხვაძის ხელმძღვანელობით უკან დაბრუნდება 30 აგვისტოს ქ. ქუთაისიდან მე №4 მატარებლით. ბილეთის ფასი, 6 მანეთი, უნდა გამოიგზავნოს 20 აგვისტომდე ამ მისამართით: **ხად. ბელაგორი სტუდენტს ტერენტი ვეფხვაძეს.**

◆ 7 აგვისტოს, ღამით პროკოფიევის სახლში (1 პარალელი ქუჩა № 12) **ნიკოლოზ მანიევის ბინა გაჩხრიკეს.** წაიღეს აუარებელი ოქრო-ვერცხლის ნივთები და თვით მანიევიც შეიპყრეს. თურმე მანიევი ნაქურდ ნივთებით ვაჭრობდა. ამ საქმის გამო რამდენიმე სხვა პირიც შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ **ალმანახი „606“**, რომელიც გაყიდვა ამის წინად გუბერნატორმა აკრძალა, ნება დართეს კვლავ იყიდებოდეს.

◆ **ტრამვაის მსხვერპლი.** 7 აგვისტოს, დილის 9 საათსე, ტრამვაის ვაგონს № 49 ერევნის მოედანზე ქვეშ მოჰყვა 15 წლის ქალი ლიუსიკ მანუკას ასული მალოიკიანცი. ვაგონმა ორივე ფეხი მოსწყვიტა. ქალი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ჩქარა გარდაიცვალა.

◆ **იუნკრები,** რომელნიც საზაფხულოდ სურამში იყვნენ წასულნი, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში.

◆ **აბასთუმნის სანატორიაში** ერთის საწოლის მოსაწყობად ბაქოელმა მექარხნემ გევორკ მირზაბეკიანცმა ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას 1,500 მან. შესწირა.

◆ ამ ბოლო ხანებში ტფილისში აუარებელი ბაღეული შემოიტანეს. ბევრი უვარგისია, სასანიტარო კომისიები და პოლიციელები ძლიერ ფხიზლად ეკიდებიან მის დათვალიერებას. გუშინ შუა ბაზარში, მე-4 უბნის ბოქაულმა დაშკოვმა, ბაზრის დათვალიერების დროს, ფარუხებზე მეტი უვარგისი ნესვ-საზამთრო გადააყრევინა ვიტჩემს.

◆ **კავკასიის მფრინავთა ჯგუფს** მოკლე ხანში საერთო კრება ექმნება ამის გადასაწყვეტად, კვლავ განაგრძოს თავისი მოქმედება, თუ მთელი საქმეები იმას წინად დაარსებულ სამხედრო აეროკლუბს გადასცეს.

◆ **ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი.** როგორც პოლიცმეისტრის კანცელარიის ცნობიდან სჩანს, ტფილისში ივლისის განმავლობაში 134 ბოროტ-მოქმედება მომხდარა. ბოროტ-მოქმედების ადგილას შეუპყრიათ 56 კაცი, ეჭვით-105 წინად ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა გამო იმავ ხანში შეუპყრიათ 5. აგრეთვე 25 ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული.

◆ **ჩამოღრჩობა.** გუშინ გათენებისას ტფილისში ჩამოახრჩეს ივანე კრისტესიაშვილი, რომელსაც ამას წინად სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მას მკვლელობათა ჩადენა და ძარცვა-გლეჯა ბრალდებოდა.

◆ **სამშობიარო ინსტიტუტში** წარსული თვის განმავლობაში 126 მოსარჩენი ქალი ჩაწერილა. აქედან 120 ქალი კარგად მორჩენილა, დანარჩენებს ოპერაციები

ცხოვრება და ხელოვნება

საფრანგეთის ეხლანდელი დრამატიული ლიტერატურა.

არა გვგონია, რომელიმე ქვეყნის ლიტერატურა განვითარების გზას ისეთის თანდათანობით ადგეს, როგორც საფრანგეთისა. ამ ლიტერატურის ერთი დიდმნიშვნელოვანი თვისება ისიც არის, რომ იგი განუწყვეტლივ გამომხატველია საზოგადოების ახალის მიმართულებისა და აზრისა. ფრანგი მწერალი ყოველთვის ყნოსვა-მახვილი ყოფილა და წინადუგრძნია ცხოვრების ყოველივე ახალი მოვლენა. მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული საფრანგეთის სიტყვა-კაზმული ლიტერატურა მოწინავე აზრების მქადაგებელია. პოლიტიკურ რეაქციის სიძლიერისა და სიმწვავის დროს იგი ლიტერატურა სცდილობდა უარყოფით მოჰკიდებოდა თანამედროვე ცხოვრებასა და ხანდისხან ამ ცხოვრებით გულმოკლულს ეს უარყოფა მთელს მსოფლიოსა და მთელის კაცობრიობის ცხოვრებაზე გადაჰქონდა. ხოლო რეაქციის შესუსტების დროს ახალ აზრთა და გრძნობათა აღტაცებული მქადაგებელი გამოდიოდა. ასეთი იყო მეჩვიდმეტე საუკუნის ლიტერატურა: მოლიერი და ლაფონტენი, დეკარტი და პასკალი, კორნელი და რასინი, ყველანი თავისებურად, ზოგი მედგრად, ზოგი უფრო სუსტად და ნაზად, გვმცნებდა მთელს სისასტიკესა და აუტანლობას პოლიტიკურის დესპოტიზმისას. ასეთი იყო მე-18 საუკუნეში, ლიტერატურა ვოლტერისა და რუსსოსი, მონტესკიესი, ჰელვეტიუსისა და ჰოლბახისა, დიდროსი და ბომარშესი — რომელიც გატაცებულის ენერგიითა და ნაყოფიერის შრომით დიდის რევოლუციის ნიადაგს ამზადებდა. კიდევ მეტიც, ეს ლიტერატურა ნამდვილი წინამორბედი იყო რევოლუციისა, მისი ეპილოგი, მისი პირველი მოქმედება. ის, რაც აზრთა სამეუფოში ვოლტერმა და რუსსომ მოახდინა, მერე, ცხოვრებასა და პოლიტიკაში, მირაბომ და რობესპიერმა მოახდინეს.

მეცხრამეტე საუკ. დამდეგში პოლიტიკურმა რეაქციამ შატობრიანიც კი აღაშფოთა და ქ-ნი სტაელისა მედგრად აამხედრა. მერე ჰუგო და ჟორჟ-სანდი შეიქმნენ ახალის აზრების მოქადაგეებად. ხოლო ნაპოლეონ მესამის რეჟიმმა ჰიუგოს პიროვნებაში ისეთი დაუძინებელი და შეუდრეკელი, უძლეველი მტერი გაუჩინა, რომ ლიტერატურის ისტორიამ მსგავსი არა იცის რა.

ნაპოლეონ მესამის რეჟიმმავე შექმნა და აღზარდა რეალიზმი და ნატურალიზმი, რომელთაც, წინააღმდეგ თავისის არსებისა, რომელთაც ცხოვრების უარყოფა უკიდურესს წერტილამდე მიიყვანეს.

საფრანგეთის ეხლანდელი ლიტერატურაც, თავისის საუკეთესო წარმომადგენლების პირით, ამ უარყოფის გზას ადგია. დახელოვნებულ დოსტაქარის ნესტარით იგი დღევანდელ სენით შეპყრობილ საზოგადოების წყლულსა და იარას თვალ წინ გვიყენებს და მათის წამლობის აუცილებლობას გვარწმუნებს, თან მომავალის გზის გარკვევასა სცდილობს და ახალის მოციქულობას ჩემულობს: ეგრეთია მწერლობა მოპასსანისა და ანატოლ ფრანსისა, ბურჟესი (პირველ ხანის ბურჟესი) და მირბოსი, რემი-დეგურანისა და პოლ ადანისა, პრევოსი და პოლ მარგერიტისა და სხვა.

საზოგადოდ ეს ნიშანდობლივი თვისება საფრანგეთის ლიტერატურისა ფრანგულ თეატრსაც ნათლად ემჩნევა. შესაძლოა საფრანგეთს არა ჰყავდეს არც შექსპირი, არც შილლერი და გეტე, არც იბსენი, მაგრამ სამაგიეროდ საფრანგეთს ჰყავს მოლიერი და ბომარშე, უდიდებულესნი შემოქმედნი პოლიტიკურისა და სოციალურის სატირისა. ამასთანავე საფრანგეთის მთელი დრამატიული ლიტერატურა მწობრი და შეუწყვეტელი გამომხატველია საზოგადოების აზრთა ბრძოლისა, საზოგადოების მისწრაფების მაჩვენებელია, ახალის მოსარჩლეა, ძველის მედგარი მებრძოლი. ასეთი გახლდათ მოლიერისა და ბომარშეს უკვდავი სატირები, ასეთია ჰუგოს ტრაგედიები, დიუმა-შვილის დრამები და სხვათა მრავალთა ნაწარმოებნი.

I

აზრადა გვაქვს მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ საფრანგეთის დრამატიული მწერლობა ამ ათიოდე წლის განმავლობისა.

დღევანდელი ფრანგული დრამატიული ლიტერატურა საოცრად გაიზარდა. აუარებელი ახალი თხზულებები ცხვება და გამოდის თეატრის ბაზარზე. მარტო ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა („ილიუსტრასიონმა“) თავის ხელის მომწერლებს ხუთის წლის განმავლობაში დაურიგა (1906—1910 წწ.) ას ორმოც-და-ათ დრამაზე მეტი. ეს დრამები პარიზის უპირველეს თეატრებში იყო წარმოდგენილი. მრავალმა მწერალმა გაითქვა სახელი ამ ათის წლის განმავლობაში და მრავალი მათგანი შედარებით ადვილად ეღირსა აკადემიკოსობას (ედმ. როსტანი, დონნეი, პორტო-რიში, ლავედანი, პოლ ჰერვიე). ხოლო, რასაკვირველია ამ აუარებელ ნაწარმოებში და ურიცხვ მწერალთა შორის, არა ყველაა „რჩეული“. ის კი არა, რიცხვის მიხედვით სულ მცირე ნაწარმოები იქცევს ყურადღებას და ორიოდე მწერალმა დაიმსახურა საერთო პატივისცემა და სახელი (ჰერვიემ, როსტანმა), მაგრამ საერთო ხასიათი საფრანგეთის ლიტერატურისა, მაინც სავსებით დაცულია ამ ნაწარმოებში და საერთოდ ყველანი ემსახურებიან საზოგადო ზნე-ჩვეულებათა დახასიათებას, ცხოვრებაზე ახალ აზრის გამორკვევასა და შექმნას. არის ერთი საგანი, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევს ფრანგული უკანასკნელ ნახევარ საუკუნის დრამა. ეს გახლავთ ქალ-ვაჟის ურთიერთობა, ოჯახის მდგომარეობა და ის კანონმდებლობა, ის დრამატიული ზნე-ჩვეულება, რომელიც ერთგვარ ფარგალში სვამს ამ ურთიერთობას. მართლაც ქალ-ვაჟის კავშირი ისეთის ძლიერის გარდუვალისა და ფატალურის მოთხოვნილებისა და ძალის გამომხატველია, რომ ვერც ერთი მოაზრე, ვერც ერთი მოციქული, სოციალური რეფორმატორი მას გვერდს ვერ აუხვევს. ეგრედ წოდებული ოჯახი, ქალ-ვაჟის შორის განწყობილება, ქვაკუთხედია პიროვნებისა და საზოგადო ცხოვრებისა.

ცხოვრების წინსვლა, აზრთა განვითარება შეუძლებელია უიმისოდ, რომ სქესთა შორის განწყობილებასა და კავშირსაც არ შეეხოს და თავისებური ახალი შეხედულება არ დაიბადოს და არ შეიქმნას ამ საგნის შესახებ.

დღეს-დღეობით პიროვნების, მისი აზრ-ფიქრისა, სურვილისა და მისწრაფების სრული თავისუფლება იდეალად მიჩნეული, ვითარცა ერთად-ერთი და მიუცილებელი გზა ადამიანის სრულის ბედნიერებისაკენ. ამისდა შესაფერად ადამიანის ინდივიდუალურის თავისუფლების ერთ-ერთ პირობად მიჩნეულია სქესთა შორის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც მოკავშირეთა პირად სურვილსა და ნებაზე იქმნება დამყარებული და სხვა ყოველივე გარეშე მოსაზრებისა და მოთხოვნილებაზე დამოუკიდებელი.

ამგვარი შეხედულება ქალ-ვაჟის დამოკიდებულებაზე, ნელ-ნელა შეუმჩნევლად ფეხს იკიდებს, თვით უფრო ზომიერ მოაზრეთა შორისაც-კი.

დიდად საინტერესოა გავითვალისწინოთ, თუ რანაირად განვითარდა ეს აზრი — სქესთა ურთიერთობის სრულის თავისუფლებისა—საფრანგეთის დრამატიულ ლიტერატურაში.

ორმოცის-ორმოცდა ათის წლის წინად ალ. დიუმა (შვილი) შექმნა სასტიკი და შეუბრალებელი ბრალმდებელი ადიულტერისა (მრუშობისა) ოჯახში და შეურაცხყოფილსა და გაბიაბრუებულ მეუღლეს, დამნაშავე მეუღლის სიკვდილით დასჯის ნება მისცა, „მოჰკალი!“ ურჩია და ზნეობრივი დასტური დართო ამგვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასპირებია. სულ 101 ბავში დაბადებულა. ორი გარდაცვლილა.

წვრილი ამბავი

◆ 5 აგვისტოს თავი მოიწამლა ქუთაისის მაზრის სოფელ ჯოხაიშის მცხოვრებმა მართა ბეჟანის ასულმა გაშაკიძემ (16 წლისა). სამკურნალოს დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 6 აგვისტოს შეიპყრეს გამოქცეული ჯარის კაცი გრიგოლ კლიმენკო.

◆ ტფილისში შეიპყრეს: 6 აგვისტოს—30 უპასპორტო, 7 აგვისტოს—117.

◆ უკვალოდ დაიკარგა ხივანის ქუჩაზე (მეშვიდე უბანი) მცხოვრები ფედორ ობლაგინი.

◆ საერთო ჩხრეკა-დაპატიმრება ივლისის განმავლობაში პოლიციას 93-ჯერ მოუხდენია.

◆ 6 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა იოსებ მაისურიანცის სახლს. ზარალი 5,000 მანეთამდეა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ამ მოკლე ხანში, მეორე საკომერციო სასწავლებლის დარბაზში (პანასევიჩის ქუჩა, № 38) კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოების წესდების საზოგადო კრება მოხდება, კრებამ სარევიზიო კომიტეტის წევრები უნდა ამოირჩიოს, რომელთაც სამსახურის დაგვარი მე-V კლასის ჩინი ებოძათ; როგორც გადმოგვცეს, საარჩევნო ყუთის დადგმა ბევრ ისეთ პირსაც განუზრახავს, რომელსაც საწევრო გადასახადის მაგიერ ერთდროულად 1000 მანეთი შეუტანია.

◆ ქალაქის სამხედრო საკრებულოს 11 აგვისტოს კრება ექმნება იმ შეღავათის გამოსარკვევად, რომელიც ოჯახურ მდგომარეობის გამო უნდა მიეცეს წელს ჯარში გასაწვევ ახალგაზდათ.

სასამართლო

◆ სამართალში აძლევენ საგუბერნიო ციხის უფროსის თანაშემწეს ზაიცევს და უფროს ზედამხედველს ვლოვიჩენკოს, რომელთაც პატიმარი ბეჟანიშვილი და ნიბლაძე სამუშაოდ გაიყვანეს, რასაც კინაღამ ამ პატიმართა გაქცევა მოჰყვა შედეგად.

ქუთაისი

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ გაუგზავნა წ. კ. საზოგ. გამგეობას 700 მანეთი ილიას ფონდის გასაძლიერებლად. ეს ფული მოგროვდა საბჭოსა და მრეწველობის სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურების ყოველთვიურ გარდასახადიდან.

◆ შავი-ქვის მრეწველთა VIII კრებამ ქ. შ. წ. კითხ. საზოგ. შესაწევად 2000 მანეთი გადასდო. ათასი მანეთი უკვე მიღებული ჰქონდა წ. კ. საზოგადოებას; დანარჩენი ათასი მანეთი გუშინ გაუგზავნა საბჭომ წ.-კ. საზ. გამგეობას ტფილისში.

◆ ამ მოკლე ხანში შავი-ქვის მრეწველთა საბჭო ხსნის სამთო სკოლას ჭიათურაში. საბჭოს ბევრი თხოვნები მისდის ინჟენერ-პედაგოგებიდან. თხოულობენ მასწავლებლის ადგილს.

◆ როგორც გავიგეთ, ჯუმათის სადგურის უფროსს ვას. ალ. მასხულიას ამ დღეებში დასაბუთებული მოხსენება წარუდგენია ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველოსთვის, **რიონის შტოს მაგიერ რკინის გზის მაგისტრალის ქუთაისში შემოყვანის თაობაზე.** რკინის გზის არსებული უმთავრესი ლიანდაგი შემოყვანილი უნდა იქნას, ბ. მასხულიას აზრით, რიონის მარჯვენა ნაპირით და დღევანდელი დიდად საზარალო და უხერხული რიონის შტო გაუქმებული, რაც დიდი ეკონომია იქნება თვით რკინის გზის სამართველოსათვის, ქუთაისის ინტერესს რომ თავი დავანებოთ.

◆ **საგუბერნიო საკოოპერაციო კრება** ქუთაისში განზრახულია მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბრისთვის. კრება მოწვეულ იქმნება „კოოპერაციის“ რედაქციის თაოსნობით. („კოლ“.)

ბათომი

◆ ქ. ბათომის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა ბათომის **თვითმართველობის ამ 1911 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა,** რომელიც უდრის 575,929 მან. და 29 კაპ.

◆ **ქალაქის შემოსავალი** 1910 წ. უდრიდა 476,771 მან. და 25 კაპ., გასავალი—475,029 მან. და 19 კაპ.

◆ **ჯარის საბინაოდ** ქალაქის თვითმართველობამ დაუხარჯავს 1908—1910 წ. 40,871 მან. 31 კაპ.

◆ **1897 წ. ბათომში მცხოვრებლების რიცხვი** უდრიდა 28,156 სულს ორივე სქესისას და 1907 წ. კი—33,543. ამრიგად ათი წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვს უმატნია 5387. („ზ. გ“.)

დუშეთი

◆ **მკვლელობა.** 1 აგვისტოს, შუადღისას, ს. ახატანში, ქ. ტფილისის მცხოვრებთ—ალექსანდრე და პავლე პაპალოვებმა, პირადი ინტერესებისა გამო, რევოლვერით მოჰკლეს თ-დი შიხი ზაქარიას ძე ტუსიშვილი,—თვისი სიძე. მკვლელები შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

◆ **ყაჩაღების თავდასხმა და კაცის კვლა.** 3 აგვისტოს, საღამოს 7 ნახ.—საათზე, ს. ოძისს თავს დაესხა, ამ ბოლო ხანებში მეტად გაკადნიერებული, შეიარაღებული ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც სოფელში შესვლისათანავე საშინელი თოფის სროლა ასტეხა; გულგახეთქილი, შეშინებული, უიარაღო ხალხი წამსვე მიიმალ-მოიმალა. ამით ისარგებლეს ყაჩაღებმა, შეუცვივდნენ ადგილობრივ მედუქნე-ვაჭარს **ნიკო ფარნიშვილს,** რომელიც შეუბრალებლად მოჰკლეს, რის შემდეგ წაიღეს, როგორც ამბობენ, 1000 მან., და სიმღერით გასწიეს, ალბად, ამისთანავე სისაძაგლის ჩასადენად; ყველას აკვირვებს ფარნიშვილის ასეთი სიკვდილი, რადგანაც მას პატიოსანი კაცისა და თავის მეზობელ სოფლელთა მოჭირისუფლეს სახელი ჰქონდა გავარდნილი. ბოქაული ზ. გურამიშვილი სროლის დროს ს. ახმაჯში ყოფილა; სროლა რომ გაუგია, ოძისში ასულა, მაგრამ ყაჩაღები უკვე წასულიყვნენ, ღამესაც ესწრო და ამის გამო აღარც გამოსდევნებია.

◆ 31 ივლისს, ღამე, ს. მცხეთის ახლო, იაკობ გარსევანიშვილის თივას ვიღაცა უცნობმა ცეცხლი წაუკიდა; ცეცხლი გადაედო იქვე ახლო მდებარე—სიმონ ადაბეგოვის საბძელს; თივა და საბძელი ერთიან გადაიწვა; ზარალი 250 მან. უდრის. ბოროტმოქმედი ვერ აღმოაჩინეს.

◆ იმავე დღეს, დილის 5 ს. თ-დ ხიმშიაშვილის მოურავი სოლოლა ჯანგირაშვილი ბულაჩაურიდან ს. ჭოპორტში მიდენილა; ჭოპორტის ახლოს, ვიღაცა ბოროტგამზრახველს ჯანგირაშვილისათვის საფრიდან თოფი უსროლნია და თავში მსუბუქად დაუჭრია, მსროლელი ვერ აღმოაჩინეს.

თელავის ცხოვრება.

თელავის ცხოვრებაზე რომ ხმას ვიღებ, მინდა პირველად ქალაქის თვით-მმართველობას შევეხო, როგორც საზოგადო და მოქალაქეთა საკეთილდღეო დაწესებულებას; მაგრამ როცა იგი ამ სიტყვების დანიშნულებას ვერ ასრულებს, როცა მას მცხოვრებთა სასარგებლოდ ზრუნვა არ ეტყობა და რაც ძალაუნებურად კეთდება, მასაც ისეთი იარები ჰყვება, რომ სამჯობინაროა ისევ გაჩუმება..

მაგრამ გული ვერ ითმენს, როცა აი, სექტემბერი მოახლოვებულია, საცაა სწავლა დაიწყება და მოსწავლეთა მშობლები ეხლავე თხოვნებს აძლევენ, ეხლავე ეწვრებიან და ცდილობენ მიაღებინონ თავიანთი შვილები, რადგანაც იციან, რომ ბევრს, ძალიან ბევრს, მოელის სკოლის გარედ დარჩენა; თელავში მოქალაქეთათვის მარტოდ-მარტო სამოქალაქო და სამინისტრო სკოლა მოიპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სასულიერო სასწავლებელს, სადაც სასულიერო წოდება იზრდება და ერის კაცთ უწყებულ % იღებენ, და წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელს.

მე მცხოვრებთა ისეთ ნაწილზე ვამბობ, რომელთაც სწავლა სწყურიანთ და სწავლის ფასის გადახდა კი ექნელებათ, თორემ ქალაქის მესვეურთ იქნება რიხით მიპასუხონ: აკი შარშან ქალაქმა, თავად-აზნაურობასთან ერთად, პროგიმნაზია გახსნაო. დიახ, ეს ასეა, მაგრამ აქ სწავლის ფასი 80 მანეთია და ამით ისევ შეძლებული კლასი სარგებლობს.

შეუძლებელ მოქალაქეთათვის არსებობს, როგორც ვთქვი, სამოქალაქო და სამინისტრო სასწავლებელი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნილებას და სწორედ ასეთი სამინისტრო სკოლის გახსნა—კიდევ საჭიროა, მით უმეტეს იგი დიდ ხარჯს არ გამოიწვევს. საკმარისია ქალაქმა განახორციელოს იმ პროექტის ნაწილი მაინც, რომელიც, ეს ერთი თუ ორი წელიწადია, მისულია ქალაქის გამგეობაში, საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ, რომ სულ ადვილი იქნება სკოლების გახსნა, ე. ი. მასწავლებელს თვით მთავრობა უნიშნავს და ქალაქს მარტო სახელი და მოწყობილება-ღა მოეთხოვება.

ვიმეორებ, ასეთი პირველ-დაწყებითი სკოლები ძრიელ საჭიროა თელავში, სადაც 18 ათასი მცხოვრებთა რიცხვია და უმრავლესობა უვიცობის წყვდიადში იმყოფება, მაგრამ ამასა და საზოგადოდ სწავლა განათლებისათვის რომ ძრიელ ნაკლებ ზრუნავენ ქალაქის პატრონ-მამები, ეს იქიდანაც ნათლადა სჩანს, რომ ამ ორი წლის წინედ თელავში საკვირაო სკოლა იყო მოწყობილი, სადაც 120 მეტი ბაზრის შეგირდნი და სკოლის გარედ დარჩენილნი სწავლობდნენ ან-ბანს. ვიდრე ამ სკოლას სახსარი მოეპოვებოდა, არსებობდა, მაგრამ მალე შემოელია ფული. საქმის მოთავეთ მიმართეს აქეთ-იქით, სხვათა შორის ქალაქსაც, მაგრამ დახმარება ვერსაიდან მიიღეს და გაჩაღებული სკოლა, უსახსრობის გამო, იძულებული იყო ასე მალე ჩამქრალიყო.

დუ-წუბული.

ქცევას. მთელი დრამაც კი დასწერა—„კლოდის ცოლი“—საცა გარყვნილსა და პირუტყვად ქცეულ დედაკაცს, ოჯახის ლაფის დამხხმელსა და მეუღლის კავშირის დამრღვეველს, ქმარი სიცოცხლეს უსპობს და ამნაირად განითავისუფლებს თავს სულის შემხუთველ და შემარცხვენელ უღელისაგან.

მორალისტის ამგვარმა სიმკაცრემ ნაპოლეონ მესამის რეჟიმში აღზრდილი საზოგადოება შეაშფოთა, რომლისთვის ოჯახიც, როგორც ყოველივე სხვა, სავაჭრო საგნად გარდაიქცა. იმ დროის ოჯახში ორის მაგიერ „სამი“ მბრძანებლობდა ხოლმე, ორი მეუღლე და ერთიც საყვარელი, ხანდისხან კი ორიც და სამი საყვარელიც, რომელთაგან ერთი გულის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მეორე ფულისა და მესამე ხარისხისას (გაიხსენეთ ბურჟეს „სიყალბე“).

მე რომ შვილი მყოლოდაო,—ამბობს ალ. დიუმა (შვილი) ერთ-ერთ თავის წიგნში („დედა-კაცი და მამაკაცი“),—ამგვარ რჩევას მივსცემდიო: „თუ მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე შენი გაგიფრთხილებია, გაგიზიარებია მისთვის შენი ცოდნა ადამიანისა და ცხოვრებისა, მიუხედავად შენის კეთილშობილურის ქცევისა, შენის მოთმინებისა და სათნოებისა—მოტყუებული დარჩი შენის მეუღლის ორპოფულის ქცევისა და მოქმედებით; თუ შენი ცხოვრება დაუკავშირე უღირსს არსებას; თუ ყოველივე შენმა ცდამ, რომ იგი ღირსეულ მეუღლედ გადაგექცია, ამაოდ ჩაგიარა; თუ ვერ იხსნა იგი ვეღარც დედის გრძნობამ, რომელიც ამ ქვეყნიური მხსნელია და მფარველი სქესისა; თუ აღარა ჰსურს დაგიჯეროს ან როგორც ქმარს, ანუ მამას მისი შვილებისას, ან მეგობარს, ან ოჯახის ბატონს და სტოვებს თავის შვილებს და მიჰყვება ქუჩაში შეხვედრილ პირველსავე მამაკაცს, რათა განაგრძოს მასთან სხვაგვარი ცხოვრება და გაამრავლოს ამ ქვეყნად თავისი წყეული თესლი; თუ ვეღარაფერი ვერ წინააღუდგება და ვერ შეაჩერებს მისის ხორცის გარყვნილებას, რაიცა შენს სახელს ჩირქსა ჰსცხებს და ტალახში სვრის; თუ შენი ადამიანური ცხოვრება შელახულია ამგვარის მოქმედებით და ხელს გიშლის შენის ღვთიურის დანიშნულების აღსრულებას; **თუ ამასთანავე კანონი, რომელმაც მიაკუთნა უფლება თქვენი განუყრელად შეკავშირებისა, ნებას არ გაძლევს მოჰშორდე და თავი გაინთავისუფლო ასეთის მეუღლისაგან, და ამგვარის სისასტიკით კანონი მარტო თავისს უძლურებას ამტკიცებს,***) განაცხადე თავი შენი, შენის გამჩენის სახელით, ამგვარის არსების მოსამართლედა და **ჯალათად.** ეს ქალი კი არ ყოფილა, არც ცოლი ყოფილა, ეს ღვთის ნასახი ადამიანი კი არა, ნამდვილი პირუტყვი ყოფილა, ნამდვილი დედალი, კაენის ჩამომავალი და, მაშ, „მოჰკალ იგი“!

ამნაირი სასტიკი და ულმობელი გადაწყვეტილება საგნისა გამოიწვია იმან, რომ იმ დროში (1872—73) საფრანგეთში არ არსებობდა ცოლქმრის განქორწინების წესი. კანონი არ აძლევდა ნებას ერთხელ და სამუდამოდ შეუღლებულ ქალ-ვაჟს რაიმე მიზეზის გამო ერთმანეთს დაშორებოდნენ. ამგვარ კანონის უზრობამ აამხედრა სხვა მოწინავე მოაზრეთა შორის ალ. დიუმაც (შვილი), რომელმაც თავისი დიდი დრამატიული ნიჭი მოანდომა ამ წესისა და კანონის, უკედა ვსთქვათ, უკანონობისა და უწესოების წინააღმდეგ ბრძოლას და რომელმაც მაღალ ნიჭიერ ნაწარმოების მთელ წყებაში დაანახვა საზოგადოებასა და ქვეყანას, რომ ასეთი მდგომარეობა, ეგრეთი წესი, მოუთმენელია და ყოველივე ნიადაგს მოკლებულიაო.

განსაკუთრებულად შესანიშნავია დიუმას დრამების წინასიტყვაობა. დიუმა ყოველთვის იმის მოსარჩლეა, რომ ცოლქმრის კავშირი და ურთიერთობა ყოველ რეგლამენტაციას უნდა მოშორებული ყოფილიყო. მარტო ქალ-ვაჟის, ერთმანეთის თავისუფალი და დამოუკიდებელი გრძნობა უნდა იყვეს ოჯახის ქვა-კუთხედადაო. ის ამტკიცებს, რომ ეხლანდელი ოჯახი მეტად ყალბ საფუძველზეა აშენებული. გვარწმუნებს, რომ ეკლესიისაგან ძალდატანებული უღელი, გინდ მთავრობისაგან და სახელმწიფოსაგან იარაღითა და სასტიკის კანონებით დაცული დამოკიდებულება, ოჯახში თავგასულ და აღვირწახსნილ გარყვნილებასა ჰბადებს: ცოლი ატყუებს ქმარს, ქმარი ჰღალატობს ცოლს. გარეგნად ვითომ და კიდევაც ემორჩილებიან „კანონებს“, არსებითად კი ამ კანონების დაქცევასა და დარღვევას უწყობენ ხელს და ეს ასეც უნდა იყოს—დახავსებულ კანონს თვითვე აქვს ძირი მომპალი. უბედურობა ის არის, რომ ამგვარი წესი გაამბოროტებს ხოლმე ოჯახის წევრებს და მათი საქციელი ხანდისხან საზოგადოებას ჰრყვნის და საძირკველს აცლის.

და იმ დროს, როცა კანონისაგან კეთილ-სამღდლოდ აღიარებულ კავშირის მწარე სურათებს გვიხატავს შესანიშნავი დრამატურგი, იმავე დროს თავისუფალ სიყვარულის გულის-წარმტაც მაგალითით გვხიბლავს მისი „მარგარიტა გოტიე“ („ქალი კამელიებით“), რომელიც ერთი საუკეთესო და მშვენიერი ძეგლია დამოუკიდებელ, მხოლოდ გრძნობის თავისუფლებაზე აღგებულ სიყვარულისა და კავშირისა.

დიუმას დრამებმა დიდი სამსახური გაუწია განქორწინების გაადვილების საქმეს.

კ. აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) ხაზი ჩვენია. ავტ.

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

5 აგვისტო.

ლონდონი. „ტაიმსმა“ თავის პეტერბურგელ კორესპონდენტისაგან ცნობა მიიღო, სტოკსი რუსოფობიაო. გაზეთი ამის თაობაზე ამბობს: თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ რუსეთის მიერ დაჭერილი პოზიცია ამ საქმეში ბუნებრივია, მაგრამ ძნელი მისახვედრია, როგორ მოხდა, რომ სპარსეთის საქმეებში რუსეთ-ინგლისის ერთნაირად მოქმედების მიუხედავად, ინგლისის სამხედრო აგენტმა რუსეთის მტრის სახელი გაითქვა. უფრო ძნელი მისახვედრია ის გარემოება, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო სტოკსის ახალი თანამდებობის მიღებას დასთანხმდა. უეჭველია, რამე გაუგებრობა მოხდა. საბედნიეროდ ეხლა ორივე მთავრობა და ორივე მისია სპარსეთში დიდი თანხმობით მოქმედებენ.

თავრიზი. მესამე ღამეა რაც დანგრეულია თეირანისაკენ გაყვანილი ტელეგრაფი. ამბობენ, ტელეგრაფი ძველი შაჰის მომხრეებმა დაანგრიესო. თავრიზის გენერალ-გუბერნატორის მოადგილედ იმამ-ყული-მირზა დაინიშნა. ამბობენ, ძველი შახი ასტარას მივიდა და იქიდან თავრიზზე გაილაშქრაო. მას თან ახლავან მარაგინის გუბერნატორის რაზმი და შახსევანელებიო.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ, ძველი შაჰი მოჰკლესო. ეს ამბავი ჯერ არ დამტკიცებულა.

ურმია. სოუჯბულაყში მოვიდა ოსმალეთის კონსული და სულდუზის კაიმაკამი ცხენოსანი ჯარით.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ ამბობს, ძველი შაჰის მეუღლემ, რომელიც შვილებითურთ ბადენში სცხოვრობს, სთქვა, შაჰის მოკვლის ამბავი ტყუილიაო; მას ქმრისაგან წერილი მისვლია, რომლითაც შაჰი ატყობინებს, კარგადა ვარო. იმ რაიონში, სადაც იგი სცხოვრობს, სრული მშვიდობიანობააო.

ურმია. შეკაკთა მეთაურმა დილმანის მახლობლად სომხების სოფელი აიღო. ქურთების მეთაური. ოსმალების მიერ შეწუხებული ქალაქს გაიქცა. თან რამდენიმე მცველი ახლავს.

თავრიზი. ხალხი რაღასაც უცდის. ბაზარზე ვაჭრობა ფრთხილად მიდის. ზოგიერთი მემამულეები შეშინდნენ, ძველი შაჰის მომხრეობა არ შემოგვწამონო და ქალაქიდან გაიქცნენ. გაჩნდნენ კავკასიელები: ქართველები, სომხები, თათრები.

თავრიზი. მთავრობის მიერ სეჰარში გაგზავნილი მარაგინის გუბერნატორი, რომელსაც შახსევანელები უნდა დაემშვიდებინა, ძველი შაჰის მხარეს გადავიდა და თავისი თავი ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა.

6 აგვისტო.

ასტრაბადი. თურქმენების სიტყვით, დამღანთან ბრძოლას დიდ-ხანს გაუწევია. მასუდ-ულ-მულკს 800 ცხენოსანი ჰყოლია და ერთი ზარბაზანი ჰქონია. ხარდარ-აშადს ზარბაზანი უსროლია, სპარსელებს (ზარბაზანი?) დაუმტვრევია და მასუდ-ულ-მულკის ჯარი დაურეკია (?), მაგრამ სამხედრო სურსათის წაღებაში კი ხელი არ შეუშლია, რადგანაც შაჰს ნაბრძანები აქვს, გაქცეულებს ნუ გამოუდგებითო. მეჯლისის მომხრენი და სოვდაგრები, რომლებიც აქამდის რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ, ეხლა რუსეთის მისიას შეეფარნენ და თხოვდნენ ასტრაბადიდან რუსების ჯარს.. (ნუ გაიყვანთო?) თურქმენები სპარსელებსა და სომხებს სძარცვავენ, რუსთა ქვეშევრდომებს კი არას ერჩიან. მეჯლისის მომხრე შეიხ-ჰუსეინი რუსების ჯარის თანხლებით მეშედს წავიდა.

ასტრაბადი. მაჰმედ-ალის უმთავრესი მომხრე მისი ძმა შოა-სალტანეა. მას სპარსეთის ხალხთან მიწერ-მოწერა აქვს და ბრძანებებს იძლევა. მთავარ-სარდლად იზმაილ-ხანია, სევდი-ხაკის მემკვიდრეობითი მმართველი. მისი ბრძანებით, თურქმენთა ჯარისთვის წინდაწინვე დამზადებულია სურსათი.

თურქმენები შაჰს დიდ ერთგულებით იფარავენ და ყველასა სჩხრიკავენ. მათ ფიცი დასდეს, ან დავიხოცებით, ან ძველ შახს თეირანში მივიყვანთო. შაჰთან მყოფმა მოლებმა წმინდა ომი გამოაცხადეს. ხორასანში ქარავანთა მოძრაობა შეჩერებულია. მიზეზი ყაჩაღობაა.

ურმია. ხოიდან იტყობინებიან, სიმკო-ბეკას ძმამ შავურა-ხანმა 6 სოფელი გასძარცვა. ხალხი დაშინებულია. ვიცე-გუბერნატორი ყაჩაღების ხელის შეშლაში უძლურია.

თეირანი. დიდი-ბრიტანიის მთავრობამ შეატყობინა სპარსეთისას, რომ იგი სტოკს სამსახურიდან ვერ გადააყენებს.

თეირანი. მაჰმედ-ალის მთავარი ძალა სევდუზშია. მთავრობის რაზმები ფირუზკუჰში. ამ ჯარებს პატარ-პატარა შეტაკება მოსდით. სერბაზების ერთმა პოლკმა თეირანიდან ფირუზკუჰში წასვლის უარი განაცხადა. უკანასკნელ სესხიდან, რომელიც $2\frac{1}{2}$ მილიონი თუმანი იყო, მთავრობას 250.000 თუმანიღა დარჩა. არეულობისა გამო ხარჯს ვეღარა ჰკრებენ. სახელმწიფოს ფინანსები კრიტიკულ მდგომარეობაშია.

7 აგვისტო.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე.“ შეიძლება რუსეთმა სპარსეთის საქმეებში ჩარევა საჭიროდ დაინახოს, ამიტომ რუსეთისათვის საჭიროა, გერმანიამ მისი უფლებანი კანონიერად იცნოს. ხელშეკრულების დადება მოწმობს, რომ რუსეთი გერმანიის მეგობრობას უფრთხილდება.

ამ ხელ-შეკრულების დადება, იმ დროს, როდესაც საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულებანი რთულდება, მოწმობს იმისა, რომ ამ ორ სახელმწიფოთ საქმე აღარ გაუმწვავდებათ.

ურმია. სპარსეთის საზოგადოება, მეტადრე სომხები, ხმებს ავრცელებენ, რომ ჯარის ერთი ნაწილი დამარცხდაო. თურქმენები ამბობენ, ჩვენს მიზანს ერთგულად ვემსახურებითო.

გაფიცვა ინგლისის რკინის გზებზე

დეპეშები

5 აგვისტო.

მანჩესტერი. მდგომარეობა უფრო წახდა. მატარებელნი ცოტანი დადიან, ისიც დიდი წვალებით.

ლონდონი. ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა პალატაში, მთავრობასა და რკინის გზის მოსამსახურეთა შორის მოლაპარაკება ხელ-ახლად დაიწყოო. ჯორჯს იმედი აქვს, რომ მთავრობის წინადადება საანკეტო კომისიის შესადგენად მიღებული იქნება, ამიტომ მან დეპუტატებსა და პრესასა სთხოვა ამ კრიტიკულ წუთს თავდაჭერილად მოიქეცითო. მთავრობის წინადადება ყალბად ახსნეს. ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ გაფიცულები კომისიის მიზანს მიხვდებიან. გაფიცვას სხვა დროსაც მოახერხებენ, თუ კი კომ-სია მათ არ დააკმაყოფილებს.

სახელმწიფოს სხვადასხვა მხრიდან მოსულ დეპეშებში რკინის გზის მო-

სამსახურეთა გაფიცვის ამბები მოაქვთ.

ლონდონი. ლონდონისა და სხვა მეციხოვნენი ძამე გააძლიერეს. ლონდონის სადგურებზე, გუშინდელ მოწოდებას პასუხი შედარებით ცოტამ გასცა.

პალატა. ჩერჩილმა განაცხადა, რომ მდგომარეობა ყველაზე ძლიან ლივერპულში გამწვავდაო.

ლონდონი. გაფიცვამ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოძრაობა შეაფერხა და კი არ შეაჩერა. 15 ათასი ჯარისკაცი რკინის გზებს იცავს. პროვინციებში გაფიცვა დიდ ქალაქებზე გადავიდა; მანჩესტერსა და ლივერპულში მატარებელთა მოძრაობა თითქმის შესწყდა. გაფიცულთა კომიტეტი აცხადებს, რომ გაფიცვა უფრო მედგრად მიდის, ვიდრე ამის მოლოდინი ჰქონდათ და ამიტომ ახლო მომავალში სრული გამარჯვების იმედი აქვთ. ირლანდიაც გაფიცვის მომხრეა. ეტყობა, გაფიცვა შოტლანდიაზედაც გადადის. მთავრობა იმსაპიროთა რიცხვსა სთვლის, რომლებიც მემანქანეებად გამოდგებიან.

რკინის გზის მოსამსახურეთა საზოგადოების მდივანმა სთქვა, მთავრობის წინადადება კავშირთა კომიტეტმა განიხილა, მაგრამ წინადადებამ დიდად ვერ იმოქმედაო. ქვედა პალატის კრება უნდოდათ 11 ოქტომბრამდის შეეწყვიტათ, მაგრამ კრიტიკულ მდგომარეობის მიხედვით 9 აგვისტომდე გადაიდო.

პალატაში ჩერჩილმა სთქვა, რომ გაფიცვას საბოტაჟი მოჰყვებაო, მთავრობა ყოველ-ღონეს იღონებს, რომ უსაჭიროეს საქონლის შემოტანა არ შესწყდეს. იგი ხელმძღვანელობს დაბალი კლასები სიმშილით არ ამოწყდნენ. მთავრობა დარწმუნებულია, რომ მისი მოქმედება ნაყოფს გამოიღებს. თუ ასე არ მოხდება, საჭირო იქნება უფრო მეტად სასტიკი ზომების მიღება.

6. აგვისტო.

ლონდონი. გაფიცვა ჩრდილოეთ ინგლისსა და სამხრეთ უელსში საყოველთაოა, შუა ინგლისში ნაწილობრივი, სამხრეთ ინგლისში კი თითქმის არ არის. გაფიცულთა რიცხვი 200.000 კაცამდეა. მგზავრები გზაში ათასობით დარჩნენ. 12.000 სამთო მუშა ძალაუნებურადაა გაფიცული. სამხედრო გემებს ებრძანათ, მზად იყავით მეციხოვნე ჯარის მოვალეობის ასასრულებლადო.

ოფიციალური ცნობებით, გაფიცვა მთელ სახელმწიფოს მოედო, მაგრამ მოსამსახურეთა ორი მესამედი მაინც სამსახურში დარჩა. რკინის-გზათა სამმართველოებში მრავალი თხოულობს სამსახურს. ჰულში ქვეითა ჯარი გაიგზავნა.

ლანელში გაფიცულებს სადგურში შესვლა უნდოდათ. იქ ჯარი იდგა. მოხდა შეტაკება. სროლის დროს ორი კაცი მოკვდა. ლონდონის 13 ვაგზალი დაკეტილია. ტელეგრაფის მავთულები ბევრგან გაწყვეტილია.

7 აგვისტო.

ლონდონი. რკინის გზათა სამმართველონი და გაფიცულები მორიგდნენ. პირობები ასეთია: 1) გაფიცვა დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას და მუშათა მეთაურებმა მუშებს მუშაობის დაწყება უნდა ურჩიონ. 2) ყველა მუშა, ვინც კი სამუშაოზე გამოცხადდება, უკანვე უნდა იქმნეს მიღებული და გაფიცვისათვის არავინ არ უნდა დაისაჯოს, არც სამართალში უნდა იქნეს მიცემული. 3) მესამე მუხლში დაწვრილებითაა აწერილი სამედიატორო კამერათა შედგენის წესი; ამ მედიატორებმა სადაო საკითხები უნდა გაარჩიონ; 4) უნდა ეცადნენ მოაწესრიგონ ზოგიერთი სადაო საკითხები, რომლებიც მუშებსა და რკინის გზათა კომპანიებს აქვთ ატეხილი; 5) მორიგების დროს ჩამოვარდნილი უთანხმოებანი ვაჭრობის მინისტრმა უნდა გადასწყვიტოს; 6) ორივე მხარე კომისიებს ხელს შეუწყობს.

მთავრობამ ამ ხელშეკრულების განსახილველად კომისია უნდა შეადგინოს, კომისიაში ორი წარმომადგენელი მუშების უნდა იყვეს, ორი რკინის გზათა პატრონებისა და ორიც უპარტიო. ორივე მხარენი მოვალენი არიან კომისიის დადგენილებას დაემორჩილონ. მთავრობა დაჰპირდა რკინის გზების პატრონ საზოგადოებებს, რაკი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობით დიდი ხარჯი მოგივიდა, ამ მოკლე ხანში პალატას წარუდგენთ პროექტს, რომლითაც ტარიფი გადიდდებაო.

რუსეთი

საფრენ მანქანათა ალლუმი.

სამხედრო ინჟენერთა მთავარ გამგეობამ და საფრენ მანქანათა განყოფილების გამგე კომიტეტმა შეიმუშავა წესი მომავალი ალლუმისა. მონაწილეობას მიიღებს პოდპ. ს. ა. ულიანოვის მონაწილეობით 10 სამხედრო მფრინავი. თითოეულ რაზმს ეყოლება ხუთ-ხუთი მრინავი. თითოეული მფრინავი აფრინდება სამხედრო ზედამხედველიანად. აქვე გამოსცდიან ხელით სატყორცნ ყუმბარებს ზევიდან სროლას; გადაიღებენ სურათებს მაღლიდანვე.

საქალებო საექიმო კურსები.

დათხოვნილ კურსელ ქალებს კურსების ადმინისტრაციამ შეატყობინა, რომ დათხოვნილნი არიან და მასთანვე იქაც, რომ მათ საშუალება მოსპობილი აქვთ იმუამდგომლონ თავის სასარგებლოდ. 29 ივლისს 50 დათხოვნილმა კურსელმა ქალმა თხოვნა მიართვეს მინისტრს: ჩვენ მხოლოდ ავადმყოფობის გამო ვერ დავდიოდით და გთხოვთ ისევ მიგვიღოთო. პასუხს ერთი კვირის შემდეგ დაჰპირდნენ.

ილიოდორი.

ილიოდორე გაემართა მოსკოვისაკენ. ამ მოგზაურობის მიზანს ჯერ არ ამხელს. მხოლოდ უთქვამს, ამ დღეებში მოხდება დიდი კონგრესი მართლმადიდებელთა, სადაც მე პირველი ადგილი მაქვს დათმობილი. აქ უნდა გადაწყდეს, როგორ ერთი დაკვრით გვთავისუფლდეთ ურიებისა და „რუსის სულელებისაგანო". მცველად ილიოდორეს ერთი მორჩილი დაჰყავს, ვიღაც სავვა, რომელიც ბრაუნინგითაა შეიარაღებული. „ამასთან ერთად არავისი და არაფრისა მეშინია" ო განაცხადა თურმე ილიოდორემ. შემდეგ დაუძახა მომხრეებს: დაუზოგველად სცემეთ ურიებს და რუსის სულელებს და ცხვირპირი შეუმურეთო.

ანგარიში

წ. კ. საზ. სასარგებლოდ დ. ხამტრედიაში 3 ივლისს გამართულ სეირნობისა.

შემოსავალი: ბაღში შესასვლელ ბილეთებიდან 150 მ. 70 კ.. მუზეუმიდან 10 მ. 51 კ.. სათამაშოდან 5 მ. 64 კ.. ფოსტა-კონფეტებიდან 34 მ. 29 კ.. ბუფეტიდან 193 მ. 56 კ. უკან დაბრუნებულ შეკოლადებიდან 1 მ.. შემოწირულება 3 მ. 80 კ. დარჩენილი ნაწილებისა 3 მ. გაიყიდა ბ. აკულოვის მიერ შემოწირული ველოსიპედი 80 მ.. **სულ შემოვიდა 482 მ. 50 კ.**

ხარჯი: ანგარიში № 1—14 მ. 24 კ., № 2—8 მ. 40 კ., № 3—8 მ. 14 კ., № 4—39 მ. 32 კ., № 5—1 მ. 75 კ., № 6—5 მ., № 7—4 მ. 60 კ. № 8—44 მ. 38 კ., № 9—19 მ. 30 კ., № 10—69 მ. № 11—3 მ. 37 კ., № 12—1 მ. 65 კ., № 13—15 მ. № 14—19 მ. 80 კ., № 15—5 მ. 12 კ., № 16—3 მ. 60 კ. და № 17—1 მ. 25 კ. მარკების 12 მ. მეზურნეებს 10 მ. ლენტების 1 მ. 87 კ. ტელეგრამების 1 მ. 45 კ. ფაიტონისა მთელი დღის 6 მ. **სულ დაიხარჯა 295 მ. 24 კ. წმინდა შემოსავალი საზოგადოებას დარჩა 187 მ. 26 კ.**

წ. კ. გამგეობა უცხადებს მადლობას სეირნობის დიასახლისს ქ. ბ. ალხაზიშვილისას, შემომწირველთ და ყველა იმ პირთ, რომლებმაც დახმარება გაუწიეს სეირნობის მოწყობას. ამასთანავე განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან უხვი შემომწირულობისათვის ბ. აკულოვი და ენერგიული მუშაობისათვის—ბ. მათევეევი. **აქაური.**

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-გარეთ.

სტამბოლი. მალისორები შინ დაბრუნდნენ. ოსმალეთ-ჩერნოგორიის კომისია საზღვრების გამოკვლევას შეუდგა.

პარიზი. ჟავასის სააგენტო იტყობინება, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება შესწყდა. ზოგიერთი გაზეთი დაიმედებულია, რომ ორივე სახელმწიფო მალე შეთანხმდება.

პლიმუტი. გერმანიის ქვეშევრდომი შმიდტი დაატუსაღეს, მას ჯაშუშობას აბრალებენ.

ლისაბონი. ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციის პროექტი საზოგადოდ და დიდი ზეიმით მიიღო.

რუსეთი.

მოსკოვი. ვაჭართა საბჭოში უცნობმა 75 ათასი მანეთი შესწირა მოსკოვის სასწავლებლებში სტიპენდიების დასაარსებლად.

ეკატერინოსლავი. მატარებელი გადაბრუნდა. 4 მგზავრი დაშავდა.

სიმბირსკი. ხოლერის გაჩენის შემდეგ 50 კაცი გახდა ავად. 26 მოკვდა.

თეატრი და ხელოვნება

ყვარელი. ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე". დარბაზში დიდი ხმაურობა და უწესოება იყო. თუ მუსაიფი ნებავსთ, დარბაზიდან გავიდნენ ხოლმე და იქ იმუსაიფონ. **ხოფელელი**

—

ქ. თელავი. ზაფხული მიიწურა და გასართობ საღამოების მართვასაც მოუხშირეს.

3 აგვისტოშიაც წარმოდგენა გაიმართა. დასდგეს სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი". მონაწილეობას იღებდნენ: დ. აწყურელის და შ. დადიანის გარდა ადგილობრივი სცენის მოყვარენი. ღალატი მგონი მეორედ იდგმება თელავის სცენაზე. პირველად ამ 4—5 წლის წინად დადგმულა. საზოგადოება დიდ ძალი დაესწრო.

6 აგვისტოს გაიმართა სეირნობა თელავის პირველ-დაწყებით სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. ასეთივე სეირნობა სომეხთა სკოლის სასარგებლოდაც გაიმართება. 9 აგვისტოს კონცერტი შესდგება.

მაინც ამ ზაფხულს, როგორც ყოველთვის, წარმოდგენები ხშირი იყო და მგონი საზოგადოებასაც მოსწყინდა ერთფეროვნება.

ამისათვის საღამოების შინაარსი რომ გაესხვაფერებინათ და ახალი რამ შეეტანათ, ძალიან კარგი იქნებოდა. სალიტერატურო გასამართლება ტფილისში თუ დამკვიდრდა, თელავში ჯერ სულ ახალი ხილია და რომ მოხერხებულიყო ამ ზაფხულს, მგონი საზოგადოება მადლობელი დარჩებოდა. აგრეთვე სალიტერატურო საღამოებიც თელავში არ იმართება. ასეთი საღამოს გამართვა-კი ძნელი არ იყო და შინაარსიანადაც მოეწყობოდა, რადგან ამ ჟამად თელავში იმყოფებიან ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ბ. ახოსპირელი, დ. თურდოსპირელი, ქუჩიშვილი, დრამატურგი ნ. შიუკაშვილი და მსახ. შ. დადიანი. მგოსანი აკაკიც-ხომ თელავში ბრძანდება და ყველა ეს-კი კარგ ძალას წარმოადგენს.. **დამსწრებელი.**

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილისთვის ადგილი დამითმოთ.

„სახალხო გაზეთის" მე-362 ნომერში ბ. **შირისუფალი** კითხულობს, თუ რა ბედი ეწია ოთხ-მოქმედებიან პიესას: „სამღვდლო შვილი".

ეს ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა გადმომცა მე ვ. ვ. შალიკაშვილმა ჟურნალში დასაბეჭდად. თუ ბატონს შალიკაშვილს არ წაუღია უკანვე, პიესა რედაქციის ქაღალდებში იქნება, და როგორც კი შემთხვევა მომეცემა, პიესას ბ. შალიკაშვილს ჩავაბარებ. ეხლა ბ. შალიკაშვილი ხონში ბძანდება, და მეც ტფილისს, სადაც რედაქციის ქაღალდები ინახება, ძლიერ დაშორებული გახლავართ.

მიიღეთ ღრმა პატივისცემა

ნ. ლორთქიფანიძე.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ გაზ. „სახალხო გაზეთში" ილია ჭავჭავაძის ძეგლის სასარგებლოდ შემომწირველთა სია:

სამ-სამი მანეთი: თავ. ზ. ჭავჭავაძე და კ. ე. აბელიშვილი. ორ-ორი მანეთი: კნ. ქ. რუსიევისა, ი. ოზიაშვილი და ქ. მაჭავარიანი. თითო მანეთი: კნ. ე. ჭავჭავაძისა, დ. ბუქურაული, ნ. კიკვიძისა, თ. ყაზახაშვილისა, რ. კურდღელაშვილი, ი. პაატაშვილი, ა. ლეონიძე, თ. ჩოლოყაშვილისა, ნ. მთვარელიშვილისა, თ. შიუკაშვილისა, ე. სულხანიშვილისა, დეკ. ი. შიუკაშვილი და ვ ბარკალაია. ათ-ათი შაური: წ. მარკოზაშვილი, მღ. დ. დეკანოზიშვილი, წ. როსტომაშვილი, მღ. ბლადაშვილი, მ. მარკოზაშვილი, ვ. სეხნიაშვილი, ი. იორდანაშვილი, ა. ბარნოვი, გ. ომანიძე, ლ. ზურაბაშვილი, ო. ჭიკაძე, მ. ხომიხურაშვილი, ი. ხუციშვილი, ნ. მონადირიშვილი, გ. გაბოშვილი, ნ. ვახვახიშვილი, სავახელი, ი. ჯანდიერი, კნ. დ. ჯანდიერისა და ი. ვახვახიშვილი.

სულ 35 მან. რომელსაც წ. კ. გ. საზ. თელავის განყოფილების კასიდან მიემატა 15 მან. და 50 მან. გაეგზავნა ზემო დასახელებულ მიზნისათვის წ. კ. საზ. მთავარ გამგეობას ტფილისში (ფოსტის კ.ჴ. № 574) წ. კ. თელავის განყ. გამგეობა სახელით მადლობას ვუცხადებ, როგორც ზემოდასახელებულ პირთ, აგრეთვე ნინო როსტომაშვილისას ფულის ნაწილის მოკრეფისათვის.

წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის ხაზინადარი **ივ. პაატაშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

პეტერბურგის ბირჟა

2 აგვისტო.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

სარგებლიან ქაღალდების ფასები:

4% საზ. რენტა	93¾
5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბან.	95
4% „ „ „ „	91
3½% „ „ „ „	85
5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ.	86
4½% „ „ „ „	—
5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ.	83¾
5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. საზ.	85
4½% „ „ „ „	—
5% I მომგებ. ბილეთ.	468
5% II „ „	360
5% III „	318

ტფილისის ბირჟა

სანოვაგისა და ქირნახულის მაზანდა:

მატყლი თუშური	7 მ. 80 კ. 8 მ.
ბამბა ქუთაისური	—
აბრეშ. პარკი ქუთაის. და ადგილ.	15-16 „
ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი	—
ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი	—
ყველი ქართული	7 მ. 40 კ. 8 მ.
თხილი ზაქათალისა	—
ღვინო კახური	3 მ. 50 კ.
შაქარი (თავისა	5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ.
შაქარი (ფხვიერი	4 მ. 60 კ.
ორბალი	—
ქერი თეთრი	—
სიმინდი	—

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აბეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ავახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—7 ს. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. ვეფხვაძე-ენგელი: 6—6½ საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარდანოვი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—103)

მუხრანის ხიდთან

სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახვლედიანი—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—120)

მშობიარეთათვის

თავშესაფარი

ბებია-ქალის

თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—71)

რადგანაც აღარ გვჭირდება,

იყიდება

სრული ელექტრონის სადგური

კარგად გამართული, რომელშიაც 2 მოტორია: 20 და 12 ძალიანები, 2 ძველი ტიპის დინამო-სიმენსისა, მარმარილოს განმანაწილებელი დაფა, 10 ელემენტიანი აკუმილიატორების ბატარეია. ნახვა შეიძლება ყოველთვის „ვეტცელის" სასტუმროს ეზოში და ფასის გაგება კი კანტორაში.

(3—1438—1)

ქართველებისა და ესპანელების ნათესაობა

შედგ. ლ. მ. მელიქსეტ-ბეკოვისა, ძველი წყაროებით (რუსული). ფ ა ს ი 25 კაპ. მსურველთ მიმართონ: ტფილისი, წიგნის მაღაზია „გუტენბერგი".

(2—758—1)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ... ფ. 75 კ.

„ „ „ წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 80 კ.

Báton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.

ვ. ყიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევანი», 4 მოქმ. დრამა . . . . . ფ. 40 კ.

შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

მე-2 კომერციული 8-კლასიანი სასწავლებელი (უფლებებით), აცხადებს, რომ შემდეგ კლასში გადასაყვანი გამოცდა მოხდება 26 და 27 აგვისტოს, ხოლო მისაღები 31 აგვისტოს, 1, 2 და 3 ენკენისთვეს. მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მოწაფენი გამოუცდელად მიიღებიან. კანცელარია ღიაა 10 ს.-დან 1 ს.-მდე. პასკევიჩის ქ., საკ. სახლი N 38, მე-3 ნაწ.

(3.1439.1)

სააქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".

იზმაილოვის პროსპექტი, № 27.

პარიზი 1900 წ. ოქროს მედლები მაკარია 1896 წ.

გლიცერინი ველური,

საშუალება, რომელიც კანს ინახავს ჭორფლისა, ფერიმჭამელისა, სახის სიწითლისა, ქარის დაკვრისა და სიცივის გავლენისაგან.

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიის" საზოგადოება თხოულობს, რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება, მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება:

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია",

და ნიშანს საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი „იმპერატორ პეტრე დიდისა", ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული,

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(13—1296—3)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

მაღაზიას

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ.—1053—)